ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს მთავრობის განკარგულება № 466 2013 წლის 17 მაისი

გამარტივებული შესყიდვა

ხელსეკრულება № 133

ქ. ახალქალაქი 15 ივლისი 2013წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 15 ივლისს, ერთის მხრივ, ჰამლეტ მოვსესიანის სახით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქ. ახალქალაქი, მ. მაშტოცის ქ. # 33, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი/მ „აღვან ქოსიან", აღვან ქოსიანის სახით, საქართველო, ახალქალაქის რაიონი, ს. დილისკა, ს.ნ. 07001043623, შემდგომში „მიმწოდებელი" შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 „შემსყიდველი" ყიდულობს: 45212000-დასასვენებელი, სპორტული, კულტურული, გასაქირავებელი და რესტორნების შენობების მშენებლობა (სპორტული დარბაზის მშენებლობის დასრულება)-41518ლ., 45233120–გზის მშენებლობა (სოფლის გზების რეაბილიტაცია)–3880ლ., 45232151–მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოებები (სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია)–3880ლ., მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოებები (პირუტყვისთვის სასმელი წყლის მილის შეძენა)–1940ლ., სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტი.(სოფ.დილისკა).

2. სამუშაოების ღირებულება

2.1 საორიენტირო თანხობრივი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 51218 (ორმოცდათერთმეტი ათას ორას თვრამეტი) ლარს.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს (შემსყიდველის მიერ შექმნილი კომისია) უფლება აქვს ნებისმიერ ეტაპზე გააკონრროლის მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება, ასევე გაატაროს პერიოდული ინსპექტირება სამუშაოს სახით.

4.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი" კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში.

4.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეეექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. სამუშაოების შესრულების პირობები

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულებაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაბარება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწდეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე:

ა) ანგარიშსწორების ფორმა იქნება: გადარიცხვა, აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო-სატრანსპორტო ძედნადები).

ბ) საბოლოო ანგარიშსწორების ვადა: შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
გ) ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები:
-შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა;
-მიღება-ჩაბარების აქტი.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა არ დაიშვება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ასევე შემსყიდველი არ არის ვალდებული წარადგინოს მტკიცებულება იმ გარემოებაზე, რასთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეთყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარეს რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეთილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამავე ხელშეკრულების 12.1 და 12.2 პუნქტებში.
12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%-ის ოდენობით** და შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან სამუშაოების გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილების ან სხვა არაჯეროვანი შესრულების (დეფექტებით შესრულებული სამუშაოები) შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,1%-ის ოდენობით.**
12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

14. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

18.1 ხელშეკრულება მოქმედებს ზემოაღნიშნული თარიღიდან **2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქ. ახალქალაქი, მ. მაშტოცის ქ. # 33 საიდენტიფიკაციო კოდი 223366122 სს „ლიბერთი ბანკი" ახალქალაქის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE59LB0120122922298000	ი/მ „აღვან ქოსიან" საქართველო, ახალქალაქის რაიონი, ს. დილისკა საიდენტიფიკაციო კოდი 07001043623 სს „ლიბერთი ბანკი" ახალქალაქის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE76LB0112120036674000
საკრებულოს თავმჯდომარე /ვ. მოვსესიან/	დირექტორი /ა. ქოსიან/